

F-171  
1987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# ბ რ ძ ა ბ უ ლ ი

6

## С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ISSN 0206-2674



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბიბლიოგრაფია და ინსტრუქციათა

# ბ რ ა ბ უ ლ ი

6

## С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1987 — ТБИЛИСИ

ნედგრენი №. პლატაზილი

РЕДАКТОР З. АЛАДАШВИЛИ

ტექნიკური პ. გამურაძე  
Техредактор А. БАКУРАДЗЕ

კორექტორები: ლ. ღოლიძე,  
ბ. ღვალიშვილი

Корректоры: Л. ДОЛИДЗЕ,  
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 6.04.-87 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.05.-87 წ.;  
ანაწყობის ზომა  $6\frac{1}{4} \times 9$ ; ქალალის ზომა  $60 \times 84$ ; საბეჭდი თაბახი 4;  
საალბიცეო-საგამომცემლო თაბახი 3,75.

შეკვეთა № 243

უ 09618 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განვითარების სამინისტროს სტამბა, ნუცებიძის ქ. № 7  
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7

საქართველოს პროცეკაციის განხილვის რესპუბლიკური  
საბჭოს პრეზიდენტის, საქართველოს აღმა ცენტრუ-  
ლური კომიტეტის გიუროს, საქართველოს სსრ განა-  
თლების სამინისტროს კოლეგის, საქართველოს სსრ  
პროცესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო  
კომიტეტის კოლეგის, სამეცნიერო-ტექნიკურ-საზო-  
გადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს  
პრეზიდენტისა და გამომგონებელთა და რაციონალი-  
ზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს  
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება

27 ოქტომბერი 1987 წელი

რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩა მეცნიერულ-ტექნიკური  
ზემოქმედება-თანავალოვანების სამსახურში“ ჩატარების  
ზესახებ

საქართველოს პროფესიურების რესპუბლიკური საბჭოს პრეზი-  
დენტის, საქართველოს აღმა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, სა-  
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს  
სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის  
კოლეგიამ, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს  
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტმა და გამომგონებელთა და რაციო-  
ნალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკუ-  
რი საბჭოს პრეზიდენტმა და ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. 1987 წლიდან ყოველწლიურად ჩატარდეს რესპუბლიკური კონ-  
კურსი „ნორჩა მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედება-თანამედროვე-  
ობის სამსახურში“.

2. კონკურსის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. კონკურსის ლაურეატებს მიენიჭონ რესპუბლიკის წლის საუ-  
კითხოს „ნორჩი მკვლევარის“, „ნორჩი გამომგონებლის“ წოდება.

4. ნორჩ ლაურეატთა წოდებების მინიჭება მოხდეს ყოველი წლის  
დეკემბერში.

5. საქართველოს აღმა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომი-  
ტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს,  
საბრეეთ ისეთის ა/მ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალ-  
ხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების  
სამართველოს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავში-  
რო საზოგადოების საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულ  
საბჭოებს, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოება-



თა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს და ევალ თავისუფლების — უზრუნველყონ კონკურსში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სახსავლებლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ტექნიკის სახლების, პროფესიულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა, ნორჩ მკვლევართა და გამომგონებელთა შემოქმედებითი უნარის საზოგადოებისათვის სასახლებლო პრატიკულად გამოსაყენებელ სამეცნიერო-ტექნიკური ექსპონატების, ხელსაწყოების, სამარჯვების შემუშავებისაკენ წარმართვა. მათ მიერ დამზადებული ნაკეთობებისა და ახალი მხატვრულ-კონსტრუქციული ნაწარმის სახლობ მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოყენება, ნორჩ ტექნიკოსთა შემოქმედების, მათი რაიონის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებისადმი დაშვემდებარება და კვლევითი სამუშაოების აღვილობრივ წარმოება-დაწესებულებებთან დადგებული ორმხრივი ხელშეკრულებების გათვალისწინებით ორგანიზება;

— განსაკუთრებული ყურადღება გამახვილონ კონკურსის მოთხოვნათა მაღალმთიან რაიონებსა და სოფელ ადგილებში სკოლის მოსწავლეთა შეგნებამდე დაყვანაზე.

— ახალგაზრდა მეცნიერთა, სპეციალისტთა, სტუდენტთა რიგებიდან შექმნან სპეციალური ჯგუფები კონკურსის პროპაგანდისათვის.

მე-6 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა პრემიებისათვის ყოველწლიურად ხარჯები გაორებულ იქნეს კონკურსის ორგანიზორების მიერ წილობრივი მონაწილეობით:

— საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი — 300 მან.;

— სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 300 მან.;

— გამომგონებელთა და რაციონალიზარორთა საჯარის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 300 მან.

7. გაზეთების „ნორჩი ლენინელის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოზ გრუზიის“, „სახალხო განათლების“, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბაზო გადაკვირვათა რედაციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების საკითხები, ცალკეული ინცივიდებისა და სუკვთესო კოლექტივების აქტიური მონაწილეობა მოსწავლე ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებაში.

8. საქართველოს ალკაციენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებთან მუშაობისა და მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერების განყოფილებებმა (პმხ. ამხ. ზ. ბუაჩიძე, ა. ალავერდაშვილი)

და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუნიციპალიტეტის შაობის სამშართველომ (ამხ. ე. ზარქუა) უზრუნველყონ კოველწლიური რესპუბლიკური კონკურსის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება.

საქართველოს პროფესიონალური რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვ. სირაბე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. გაბაძე

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. მინდვრი

საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჭ. მარგველიძე

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გურგენიძე

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე  
ლ. ჭავჭავაძე

ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩთა მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედება-თანამედროვეობის სამსახურში“

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### I. კონკურსის მიზანი და ამოცანები

ყოველწლიური რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩთა მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედება-თანამედროვეობის სამსახურში“ მიზანია სკოლ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებების, სასკოლო რეფორმის მოთხოვნის გათვალისწინებით მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების დონის შემდგომი ამაღლება, კვლევითი, საძიებო და გამომგონებლური მუშაობის ჩვევების გამომუშავება, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ფორმებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, ნორჩ ტექნიკურსთა შემოქმედებითი მუშაობის, მათი რაიონის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნის შინედვით წარმართვა.

კონკურსი უნდა იქცეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჟურნალის  
რეპულ განვითარებაში მოსწავლეთა წვლილის ზრდის, მასობრიობის  
მიღწევის, სხვადასხვა უწყებაში ნორჩ ტექნიკისთა მობილიზებისა  
და ერთი საერთო ინტერესისადმი დაქვემდებარების, მოსწავლე ახალ-  
გაზრდობის ტექნიკური შემოქმედების აქტიური პროპაგანდისა და ავ-  
ტორიტეტის განმტკიცების, ტექნიკური შემოქმედებით გატაცებულ  
მოზარდთა წარმატებისა და სტიმულირების ახალი ფორმების გან-  
ხორციელების ეფექტურ საშუალებად.

## 2. კონკურსის ორგანიზაცია და მონაწილეობის პირობები

რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებისა და გამარჯვებულების გა-  
მოვლენას უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი რესპუბლიკური საორგა-  
ნიზაციო კომიტეტი.

კონკურსში მონიტორინგის მიღებისათვის თითოეული ნორჩი  
ტექნიკის (ავტორთა ჯგუფი) საკუთარ ნამუშევარზე, ნაკეთობაზე სა-  
თანადოდ გაფორმებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას (დამოწმებულს  
იმ დაწესებულოების ხელმძღვანელობის მიერ, რომლის ტექნიკურ წრე-  
შიც გაერთიანებულია თვითონ) და ექსპონატებს წარუდგენს საოლ-  
ქო, საქალაქო და რაიონულ კომევშირულ ორგანიზაციაში შექმნილ  
საორგანიზაციო კომიტეტს, ხოლო ეს უკანასკნელი ონლაინულ მასა-  
ლებს ოფიციალურად წარმადგენს კონკურსის რესპუბლიკურ სა-  
ორგანიზაციო კომიტეტში ყოველი წლის 1-ლ ნოემბრამდე.

კონკურსის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში წარდგე-  
ნილი ექსპონატები, ხელსაწყოები, ნაკეთობები უნდა შეიცავდნენ  
დამზადების სიახლეს, საინტერესო მხატვრულ-კონსტრუქციულ გადა-  
წყვეტას, გამოგრონებლურ ელემენტებს და იძლეოდნენ სახალხო მე-  
ურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკულად გამოყენების შესაძ-  
ლებლობას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნე-  
ბისმიერ მოსწავლეს.

## 3. კონკურსის ლაურეატებისათვის წოდებების მინიჭება და პრემირება

ყოველწლიურად, დეკემბერში ჩატარდება ლაურეატების სახეი-  
შო დაჯილდოება.

კონკურსში წარმოდგენილი პრაქტიკული ნამუშევრების, ექსპო-  
ნატის, ხელსაწყოს, სამარჯვის დამზადების სიახლის, საინტერესო გა-



დაწყვეტისა და გამომგონებლური ელემენტების შემცველობის გათვალისწინების შესაბამისად მიენიჭებათ რესპუბლიკური წლის საუკეთესო „ნორჩი მკვლევარისა“ და „ნორჩი გამომგონებლის“ წოდებები.

კონკურსში გამარჯვებულთა წახალისებისათვის დადგენილია პრე-მიები:

- პირველი პრემია (ორი) — 200 მანეთი თითოეული
- მეორე პრემია (სამი) — 100 მანეთი თითოეული
- მესამე პრემია (ოთხი) — 50 მანეთი თითოეული

კონკურსის ლაურეატები ფულად პრემიებთან ერთად დაჯილდოვ-დებიან კონკურსის ორგანიზატორთა საპატიო სიგელებით, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ტურისტული საგზურებით.

**შენიშვნა:** რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1-ლი ნოემბრის შემდეგ წარმოდგენილი ნამუშევარი განსახილველად არ მიიღება.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

პურსის „წარმოების საფუძვლები. პროცესის არჩევა“  
საჭავლო პროგრამის შემოღების შესახებ

18 მარტი 1987 წელი, № 99

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 20 დეკემბრის № 21/2 გადაწყვეტილებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-VIII კლასებში (VIII-X კლასებში 1990 წლიდან) კურსის „წარმოების საფუძვლები. პროცესის არჩევა“ სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კურსის „წარმოების საფუძვლები. პროცესის არჩევა“ ტიპური პროგრამის ქართული ვარიანტი.

2. შემოღებულ იქნეს 1987—1988 სასწავლო წლიდან კურსის „წარმოების საფუძვლები. პროცესის არჩევა“ სწავლება რესპუბლიკის ყველა არასრული საშუალო და საშუალო სკოლის, სკოლა-ინტერნატის VII კლასიდან და სწავლება გაგრძელდეს მომდევნო წელს VIII კლასში.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროცესიული მომზადების განყოფილებამ (ამ. ვ. ბეჭაშვილი) სახელმძღვანელოების სამმართველოსთან (ამ. ნ. ლლონტი) ერთად 1987—1988 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს ზოგადსა-

განმანათლებლო სკოლები კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ პროგრამით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებამ (ამს. ვ. ბექაშვილი) ი. გოეგბაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად (ამს. შ. ამონაშვილი) 1987 წლის 1-ლ მაისადე მოამზადოს საინსტრუქციო-მეთოდური წერილი კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ სწავლების მეთოდიკისა და ორგანიზაციის შესახებ.

5. ი. გოეგბაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა საზეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამს. შ. ამონაშვილი), მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებამ (ამს. ვ. ბექაშვილი) 1987—1988 სასწავლო წელს კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ სწავლების მდგომარეობის შედეგებზე მოახსენონ კოლეგიას 1988 წლის სექტემბერში.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებებმა. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ სწავლების მაღალ ორგანიზებულ დონეზე დაყენების მიზნით, უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები კვალიფიციური კადრებით. ამ საგნის მასწავლებლების შერჩევისას გაითვალისწინონ არა მარტო მათი სპეციალობა, არმედ იდეული, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მომზადების დონე.

7. ბესტავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამს. ვ. უვანია) 1987—1988 სასწავლო წლისათვის სპეციალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით გადამზადოს ის მასწავლებლები, რომლებიც კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ სწავლებას დაიწყებენ. ამ საგნის მასწავლებელთა გადამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწავლების შინაარსს, მეთოდებისა და ხერხების დაუფლებას.

8. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ (ამს. რ. დვალიშვილი) და უზრნაღ „სკოლა და ცხოვრების“ (ამს. რ. ძერია) რედაქტორებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ შესაბამისი მასალები კურსის „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ სწავლების საკითხების შესახებ.

9. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებას (ამს. ვ. ბექაშვილი).

ՍԱՀԱՅՈՒԹՅԱՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՄԱԿԱՐԴԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ  
ՍԱՅԻՆԸ ՎԵՐԱԿՐՈՅԱԿԱՆ  
ՎԵՐԱԿՐՈՅԱԿԱՆ ՎԵՐԱԿՐՈՅԱԿԱՆ ՎԵՐԱԿՐՈՅԱԿԱՆ

ՅԱՅՉԵՎՑԵՎՈՐԱ ՏԱՎԱԼՎԵՑՎՈՂՈ ՔՐՈՎԵՎՈՇՎՈՂՈ ՅԱՅՉԱՎԵՑՎՈՂՈ  
ՇԵՎՈՎՑԵՎՈՂՈ ՎԵՎԵՑՎՈՂՈ ՀԱՅԵՑՎՈՂՈ ՀԱՅԵՑՎՈՂՈ

28 օցնութեա 1986 թվական, № 70-ի

„մռավալեա մռամուտո աղթրգուս, թշազլեպուս, პհռոցյեսոյ-  
լո որոյենքուս զայմչողեցեցուս և մատո սածոցազողեցուազազ  
սասարցեցլո, թշամոցեցլուրո մռամուտո որցանիտացուս ՚շըսաեց“ սկյա-  
պանութանուրո կոմուտեցուս և սար զայմինուս մոնուտիրտա սածքու 1984  
թվական 12 ապրիլու № 214 օգագունուցեցու ՚շըսաձամուսազ ՚նոցաթացան-  
մանատլեցեցլո սյուլեցու VII-X (VIII-XI)<sup>1</sup> կլասեցեցու ՚շըմոլեցեցլուս  
սայալվեցեցլո პհռոցյեսոյլո մռմթացեցա.

ոմաստան ճայացմուրեցու, հռոմ ահասիրուլո սամշալո սյուլուս ճամ-  
տազրեցու ՚շըմջաց մռսթավլուցեց ՚շըսամլուցեցլոս զմլուցատ սամշալո  
՚նոցաթացանմանատլեցեցլո սյուլեցու, սամշալո պհռոցյեսոյլ-Ծրբին-  
կու սասթավլուցեցլոս և սամշալո ՚սցուալուր սասթավլուցեցու,  
սթավլուս ցասացրուցլուցեցլու, մռսթավլուս պհռոցյեսոյլո ՚թավլուց  
որ եթաձար եռորդութանուրութեա Յուրաց Յուրաց, VII-VIII (VIII-X) կլա-  
սեցու ցատալուսթինեցեցլուս պհռոցուցեցու մոնեցատ պհռոցյեսոյլո  
սթավլուս ուս սպոտեցու, հռմլուցու սայրտու յրտու ճարցուս ան ՚նար-  
մոյցուս մռնատեսազ პհռոցյեսուտա ՚չցուցեցեցուսատցու. մացալուտաւ, սագա-  
ցու պհռոցյեսոյցու: մասալատամպուրաներու, նաեաթեցու ՚նարութեա, Հայուցեց և ճա-  
կասմա, Ծրբինոյուրո ցանոմաց. յլուցիրոնույա և ա. ՚ Շ. ամաստան ՚թավլու-  
ցուս პհրայիշուրու նարութեա ուցալուսթինեց մարտու սամշամուտա ՚շըսրու-  
լուցա մռուցմուլո ՚չցուցուս պհռոցյեսուտա մոնեցատ. մեռոյ յուրաց,  
IX-X (X-XI) կլասեցեցու, մռսթավլուցեց ամտացրեցեց յրտ-յրտու կոն-  
յուրուլու პհռոցյեսուս ՚շըսթավլաս ոմ პհռոցյեսուտա սայրտու նուսենան,  
հռմելուց ճամբարուցեցլու ճագագունու ՚նեսու ՚նոցաթացանմանատլեց-  
լու սյուլեցու մռսթավլուս պհռոցյեսոյլո մռմթացեցեցուսատցու.

մտլուանագ პհռոցյեսոյլո ՚թավլուցու 4 թվու մանօնթե VII-X  
(VIII-XI) կլասեցեցու մռսթավլուս մռմթացեց, հռցորհ ՚նեսու, ցատա-  
լուսթինեցեցլուս ցանսանուցրուլ პհռոցյեսում პորաց լությունուու սայա-  
լուցուցու տանհուցու մոնեցատ, սամշամոյցուս և պհռոցյեսուցուս յր-  
տուան սարարութ-սայալուցուցու լունուարու լունուարու տա-  
նամլուցու սայալուցուցու լունուարու լունուարու մոտեացնատ ՚շըսաձամուսազ.

<sup>1</sup> յօյաց և ՚շըմջաց յօյաց որհիեւլուց մուցեմուլու կլասեցու նումերացու ՚նոցաթ-  
սայանմանատլեցլո սյուլեցու անալու ՚թրկյուրուս մոնեցատ.

1986 წელს სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის შირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შემუშავეს და დაამტკიცეს მოსწავლეთა პროფესიული მომზადების პროგრამები, VII-X (VIII-IX) კლასებში 17 პროფილის, ხოლო IX-X (X-XI) კლასებში მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და არამწარმოებლური სფეროს 29 პროფესიის მიხედვით (დანართი 1).

1987 წლის განმავლობაში დარღობრივი სამინისტროებმა და უწყებებმა ერთობლივად უნდა შეიმუშაონ კიდევ VIII-VIII (VIII-IX) კლასებისათვის 20 და IX-X (X-XI) კლასებისათვის 139 პროგრამა კონკრეტულ პროფესიათა მიხედვით (დანართი 2).

აღნიშნული პროგრამები გამოვა მასობრივი ტირაჟით და გავრცელდება დაღგენილი წესით სახალხო განათლების ორგანოების მოთხოვნათა შესაბამისებრივი. VII კლასებში მათი შემოლება გათვალისწინებულია 1987—1988 სასწავლო წლიდან. ეს პროგრამები საერთოა სსრ კავშირის ყველა ზოგადსაგანათლებლო სკოლებისათვის. 11 (12) წლიანი სწავლების ნაციონალური სკოლებისათვის პროგრამებს გადამუშავებენ. მოკავანენ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში და დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკური განათლების სამინისტროები და პროფესიექგანათლების სახელმწიფო კომიტეტები.

პროფესიათა ნუსხაში შემავალი იმ სხვა პროფესიებისათვის; რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მოსწავლეთა მომზადება და რომლებიც 1-ლ და მე-2 დანართებში მითითებული არ არის, პროგრამების შემუშავება აღგილზე ხორციელდება იმ პროგრამების საფუძველზე, რომლებითაც გათვალისწინებულია წარმოებაში მუშათა მომზადება შესაბამისი პროფესიების მიხედვით და მტკიცდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკური განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების საოლქო განყოფილებისა და პროფესიექგანათლების შესაბამისი კომიტეტების (სამართველოების) მიერ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალ ტიპზე სასწავლო გეგმაში VII-VIII (VIII-IX) კლასებში პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილია კირიაში 3 საათი, IX-X (X-XI) კლასებში — 4 საათი, შრომითი პრაქტიკისათვის IX (X) კლასებში განკუთვნილია 120 საათი, პროფესიულ მომზადებაზე დროის საერთო ლიმიტი 596 საათს შეადგენს. გარდა ამისა, შესასწავლი პროფესიის (პროფილის) მიხედვით შრომით დასაქმებაზე რეკომენდებულია იმ დროის გმოყენება, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმით VII-X (VIII-XI) კლასებში საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომისათვის და VII-VIII (VIII-IX) კლასებში შრომითი პრაქტიკისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთა სწავლება იმ პროფესიათა მიხედვით მიმდინარეობს, რომელთა ასათვისებლად საწარმოში დადგენილი ვალები 4 თვეზე მეტია, პროგრამა დასაუფლებელი პროფესი-



ის შესასწავლად იმ დროის ნაწილის გამოყენებას ითვალისწინებული რომელიც სკოლის სასწავლო გეგმით გამოყოფილია საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმეებლური შრომისათვის (300 საათამდე). თუ სათანადო პირობების გამო ასეთი შესაძლებლობები არ არის, მაშინ მოსწავლეები ამ პროფესიების შიხედვით არ მოშხადდებიან.

სსრ კაგშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1984 წლის 30 აგვისტოს № 928 დაბეგნილებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო დაწესებულებების დებულების შესაბამისად, მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის პირობების შექმნას სკოლების საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები) უზრუნველყოფენ.

მოსწავლეთა პროფესიული სწავლება, როგორც წესი, სასწავლო საამჟროებსა და საწარმოს სხვა უბნებზე, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმო კომბინატებში, სასკოლო და სესკოლათაშორისო სასწავლო-საწარმო სახელოსნოებსა და ასევე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე ხორციელდება. რიგი პროფილების შიხედვით (ავტოსამებე, მეცნიერების მექანიზაციისა და აგროტექნიკის საფუძვლები, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მექანიზაციის საფუძვლები, მანქანაზე ბეჭდვა და საქმისწარმოების მექანიზაციის ნაფუძვლები, მანქანაზე ბეჭდვა და საქმისწარმოების საფუძვლები) და შესაბამისი პროფესიების სწავლება შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ სკოლაში, რისთვისაც იქ საბაზო ორგანიზაციების მიერ იქმნება აუცილებელი მატერიალური ბაზა. VII-VIII (VIII-IX) კლასების მოსწავლეთა პროფესიული სწავლება ისეთი პროფილების მოხედვით, როგორიცაა, სის დამუშავება, ლითონის დამუშავება და სამკერვალო წარმოების საფუძვლები, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს სესკოლო სახელოსნოების ბაზაზე, რომლებიც დამატებით აღჭურვილი იქნება საწარმოო დაზოგონობით.

რიგი პროფილების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შოსწავლეთა პროფესიული სწავლებისათვის საჭირო სასწავლო მოწყობილობა განსაზღვრულია სასწავლო მოწყობილობებისა და თვალსაჩინო მასალების ნუსხით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის გახათლების სამინისტროს მიერ (დაართი 4). სხვა პროფილებისა და პროფესიების მიხედვით სწავლების, ორგანიზაციისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ პროფტექნიკანათლების სასწავლო დაწესებულებების კაბინეტების სასწავლო მოწყობილობების ნუსხით. ამ მოწყობილობის მიწოდება ხდება სსრ კავშირის პროფტექნიკანათლების საწარმოო დაწესებულებების საკავშირო გაერთიანების მიერ დადგენილი წესით საბაზო საწარმოებისა და ორგანიზაციების განაცხადების შესაბამისო.

მოსწავლეთა პროფესიული სწავლება ხორციელდება შრომის მასწავლებლების, სკოლისა და სესკოლათაშორისო სასწავლო-საწარმო



კომბინატების საწარმოო სწავლების ოსტატების, საშუალო პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებისა და საწარმოო სწავლების ოსტატების მიერ, აგრეთვე საბაზო ორგანიზაციების სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების (კოლეჯურნეების) მიერ, რომლებიც სკოლებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სასწავლო საქმეროებში და უბნებზე ამ მიზნით იგზავნებიან.

პროფესიული მომზადების მეცნიერებებისათვის გამოიყენება სახელმძღვანელოები, სასწავლო, საცნობარო, მეთოდური, დამხმარელიტერატურა და პლაკატები, რომლებიც გამოიცემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (დანართი 3), პროფესიული სასწავლებლებისა და საწარმოებში მუშათა მომზადებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აღნიშნულ ლიტერატურას იძენენ სასწავლო ხარჯებისათვის გათვალისწინებული ასიგურებებიდან. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სასწავლო სამქროებსა და უბნებზე საბიძლიოთები ფონდები იქმნება საწარმოების სახსრების ხარჯზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც პროფესიული სწავლების კურსი გაიარეს, საკვალიფიკაციო გამოცდებს საწარმოთა საგამოცდო კომისიებს აბარებენ. ეს კომისიები ხელმძღვანელობენ შესაბამისი ირგანიზაციების მიერ დამტკიცებული დებულებით — სწავლების სხვადასხვა ფორმებით მუშარ პროფესიებს დაუფლებულ პირთა ატესტაციისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესის შესახებ. იმ მოსწავლეებზე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, საწარმოები გასცემენ ერთანაი ნიშაუშის მოწმობებს. ატესტაცია და კვალიფიკაცია ენიჭებათ იმ შოსწავლეებს, რომლებმაც შეისწავლეს „ავტომძღოლისა“ და „ტრაქტორისტუ-მემანქანის“ პროფესია. „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსსკლასელთა ავტოსაქმის სწავლების შესახებ“ და „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს 1969 წლის 14 იანვრის № 44 და 1970 წლის 14 მაისის № 333 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ზოგადსაშუალო განათლების ატესტატში იწერება შრომითი და პროფესიული სწავლების საბოლოო ნიშანი IX-X (X-XI) კლასების ნიშნებისა და საკვალიფიკაციო გამოცდებზე მიღებული ნიშნების საფუძველზე.

VII-VIII (VIII-IX) კლასებში პროფესიული მომზადების პროცესში ისწავლება კურსი „წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“. აღნიშნული კურსის მიხედვით მეცნიერება სკოლის პროფორიენტაციისა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინა-



ტების სასწავლო-მეთოდურ კაბინეტებში, საწარმოების ტექნიკურზოგადი სწავლების კაბინეტებში. საშუალო პროფესიალური სწავლების პროცესით მიმღინარეობს. VII (VIII) კლასების მოსწავლეები სწავლების პროფილს (პროფილებს) პრაქტიკულად ეცნობიან უშუალოდ საწარმოების სასწავლო სამქროებსა და უბნებზე, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებსა და საშუალო პროფესიალურების ამ კურსის შესწავლის დროს.

კურსს სწავლებისას, იმ ოპერატორობის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია როგორც სასწავლო თვალსაჩინოებისა და სასწავლო მოწყობილობის ტიპური ნუსხით და აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დებულებით<sup>1</sup>, გამოიყენება სხვა მოწყობილობებიც, დიაგნოსტიკური ხელსაწყოები, ელექტრონულ გამოთვლითი ტექნიკა და სხვა.

„წარმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“ კურსის სწავლებისას ყველა კლასი (ჯგუფი) ორ ქვეჯგუფად იყოფა იმ დადგეხილი წესების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია სკოლებში შრომითი სწავლების გავვეთილებისათვის. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სასწავლო სამქროებისა და საწარმოო უბნების სასწავლო ჯგუფებისათვის.

კურსის წაკითხვა შრომითი შრომითი სწავლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, რომლებმაც სპეციალური მომზადება მასწავლებელთა დახმარებულების ინსტრუქტებში გაიარეს, აგრეთვე პროფორიენტაციის ცენტრების სპეციალისტებს. ცალკეული ოემების მიხედვით პრაქტიკული შეცადინეობები შეიძლება ჩატარონ ინჟინრებმა, ეკონომისტებმა, ექიმებმა და სხვა სპეციალისტებმა.

საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დროული შერჩევა, რომლებსაც აღნიშნული კურსის სწავლება დაევალებათ, და მათი მეთოდური მომზადების ორგანიზება. უცილებელია მისაწვდომ ვადებში შრომის მასწავლებლების, საწარმოო სწავლების ოსტატების ხელახალი გადამზადება ახალი პროგრამების მიხედვით, ასევე კურსებსა და სემინარებზე ფინქონლოგიურ-ჰელაგოგიური საკითხების გარშემო წარმოების იმ მუშავთა მომზადება, რომლებიც მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას ახორციელებენ.

შესწავლით პროფესიული მომზადების ეფექტიანობის ძირითად

<sup>1</sup> რამტკიცებულია 1986 წლს.

<sup>2</sup> დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1983 წლის 10 ნოემბრის № 134 ბრძანებით.



შაჩქენებლად უნდა ჩაითვალოს; შოსწავლეთა მეტე პროფესიული სამუშაოების შრომითი ლიფიკაციის შილება; კურსდამთავრებულთა წარმოებაში შრომითი მოწყობა და დამაგრება: სწავლის გაგრძელება მიღებული პროფესიის შესაბამისად; მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხი და მათი მუშაობა მთლიანობაში; შრომისაღმი დამკიდებულება, როგორც წწავლის პროცესში, ასევე სკოლის დამთავრების შემდეგ.

1986—1987 სასწავლო წელს შრომითი და პროფესიული სწავლება VIII-X კლასებში შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც არსებული პროგრამების მხხდვთ, ასევე ადგილებზე შექმნილი დროებითი პროგრამებით, მის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის გარდამავალი სასწავლო გეგმით VIII-VIII კლასებში შრომით და პროფესიულ სწავლებას კვირაში 2 საათი დაგთმობა.

მინისტრის მოადგილე ვ. ე. ჭტიქალო

#### დანართი 1

VIII-IX კლასების მოსწავლეთათვის პროფესიული  
მომზადების პროგრამების წუსხა

#### VIII-XI კლასები

#### პროფილები

1. ხის დამუშავება (№ 8, 1986)<sup>1</sup>
2. საკონდიტრო წარმოების საფუძვლები
3. მანქანზე ბეჭდვა და საქმისწარმოების საფუძვლები
4. სამანქანომშენებლო ხაზეა (№ 4, 1987)
5. ლითონის დამუშავება (№ 9, 1986)
6. საზოგადოებრივი კვება (№ 2, 1987)
7. სამკერვალო წარმოების საფუძვლები (№ 2, 1987)
8. აგროტექნიკისა და მეცნიერების მექანიზაციის საფუძვლები (№ 10, 1986)
9. მეცნიერებებისა და მეცნიერების ფერმების მექანიზაციის საფუძვლები (№ 11, 1986)
10. ავტომატიკისა და ტელემექანიკის საფუძვლები
11. სამშენებლო-სამონტაჟო წარმოების საფუძვლები
12. გამოყენებითი ქიმიის საფუძვლები
13. რადიოელექტრონიკა

1 ფრჩხილებში ნაჩვენებია უზრალის „სკოლა და წარმოების“ ნომერი, რომელშიც მოცემული პროგრამები ქვეყნდება.

14. სავაჭრო მოშსახურება
15. ელექტროტექნიკა (№ 6, 1986)
16. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა (№ 5, 1986)

## IX-XI კლასები

### პროფესიები

1. კონდიტორი
2. ქიმიური ანალიზის ლაბორატორი
3. სამშენებლო მრებანი
4. II კატეგორიის მშეჭდავი
5. ქუდების მოდელირობი
6. რადიოელექტრონული აპარატურისა და ხელსაწყოების მემონტაჟე
7. არასამრეწველო საქონლის უმცროსი გამყიდველი
8. სამრეწველო საქონლის უმცროსი გამყიდველი
9. ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ოპერატორი (№ 5, 1986)
10. გამომთვლელი მანქანების ოპერატორი
11. მეცნიერობის კომპლექსებსა და მექანიზებული ფერმების ოპერატორი
12. მანქანური წველის ოპერატორი (№ 11, 1986)
13. მომპირკეთებელი-მეფილე
14. ხური
15. რადიო-ელექტრონული აპარატურისა და ხელსაწყოების ზეინ-გალ-ამწყობი
16. საკონტროლო გამხომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის ზეინკალი
17. ზეინკალ-ელექტრომემონტაჟე (№ 6, 1986)
18. მექანიკურ-სამძრევობო სამუშაოების ზეინკალი
19. მდივან-სტენოგრაფისტი
20. მდივან-მემანქანე (№ 3, 1987)
21. ღურვალი (სამშენებლო) (№ 8, 1986)
22. ხარატი (№ 9, 1986)
23. მკერავი
24. ტრაქტორისტი-მემანქანე (№ 10, 1986)
25. მრავავი
26. მხაზველი (№ 4, 1987)
27. მღესავი
28. ელექტრონული მანქანების აპარატურის ამწყობი
29. მზარეული (№ 12, 1986)



დანართი უცროვებული

1986—1987 წლებში შესამუშავებელი VIII-IX კლასების  
მოსწავლეთა პროფესიული მომზადების პროგრამების ნუსხა

### VIII-IX კლასები

#### პროფესიული

1. ავტოსაქმე
2. კვების პროდუქტების წარმოება
3. სატყეო მეურნეობისა და სატყეო ტექნიკური სამუშაოების მექანიზაციის საფუძვლები
4. ხე-ტყის დამზადების წარმოების საფუძვლები.
5. მეტალურგიული და ლითონის ჩამოსხმის მრეწველობის საფუძლები
6. პოლიგრაფიული წარმოების საფუძვლები
7. ცელულოზა-ქალალდის წარმოების საფუძვლები
8. საათების წარმოების საფუძვლები
9. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი და მომსახურება
10. კავშირგაბმულობა
11. სამღებრო სამუშაოების ტექნოლოგია
12. ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგია
13. საშემდუღებლო სამუშაოების ტექნოლოგია
14. თევზის მრეწველობა
15. ტრიკოტაჟის წარმოების საფუძვლები
16. სამრეწველო ელექტრონიკის საფუძვლები
17. სამედიცინო-სანიტარიული მომზადების საფუძვლები
18. კარაჟის, ყველისა და რძის წარმოება
19. ხორცის პროდუქტების წარმოება

### X-XI კლასები

#### პროფესიული

1. ძაფსანასკვი და ძაფდამხვევი ავტომატისა და ღაზგის მეავტომატი
2. რძის ჰასტერიზაციისა და გაცივების მეაპარატი
3. ვაკუუმიანი დამტასოებელი დანადგარის მემანქანე
4. ნეიტრალური გაზის დადგნის მეაპარატე
5. ცივი მეტალის მვალცავი
6. ავტომობილის მძლოლი (ვ და ც კატეგორიის)
7. დამტევირთველის მძლოლი

8. මිලුදේසේ පෙනු ලද පිළිගෙන  
 9. ත්‍රිපූරෝත්‍යා නැව්‍යමීමිනා දා ජ්‍යෙෂ්ඨ පිළිගෙන  
 10. පෙනු මිලුදේසේ පිළිගෙන  
 11. මුදලත්‍රාත්‍යා පිළිගෙන පිළිගෙන පිළිගෙන  
 12. මුදලත්‍රාත්‍යා පිළිගෙන  
 13. ඇඟිල්‍යා පිළිගෙන පිළිගෙන පිළිගෙන  
 14. නො පිළිගෙන නො පිළිගෙන නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 15. නො පිළිගෙන නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 16. නො පිළිගෙන නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 17. නො පිළිගෙන නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 18. නො පිළිගෙන නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 19. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 20. නො පිළිගෙන පිළිගෙන පිළිගෙන පිළිගෙන  
 21. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 22. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 23. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 24. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 25. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 26. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 27. නො පිළිගෙන (කේ-චු පිළිගෙන පිළිගෙන)  
 28. මුදලත්‍රාත්‍යා  
 29. නො පිළිගෙන පිළිගෙන  
 30. නො පිළිගෙන  
 31. නො පිළිගෙන  
 32. නො පිළිගෙන  
 33. නො පිළිගෙන  
 34. නො පිළිගෙන  
 35. නො පිළිගෙන  
 36. නො පිළිගෙන  
 37. නො පිළිගෙන  
 38. නො පිළිගෙන  
 39. නො පිළිගෙන  
 40. නො පිළිගෙන  
 41. නො පිළිගෙන  
 42. නො පිළිගෙන  
 43. නො පිළිගෙන  
 44. නො පිළිගෙන  
 45. නො පිළිගෙන  
 46. නො පිළිගෙන

47. მეტალის მოდელების მემოდელი
48. მემონტაჟე
49. მემონტაჟე ვაკუუმისტი
50. კომპრესორების, ტუბოების, ვენტილატორების მემონტაჟე
51. საქავაბე დანადგარების მოწყობილობის მემონტაჟე
52. მეტალურგული ქარხნების მოწყობილობის მემონტაჟე
53. ქიმიური და ნავთობის მრეწველობის საწარმოო მოწყობილობის მემონტაჟე
54. კვების მრეწველობის საწარმოების მოწყობილობის მემონტაჟე
55. ავტომატური კონტროლის, რეგულირების და მართვის აპარატურის და ხელსაწყოების მემონტაჟე
56. სასოფლო-სამეცნიერო მოწყობილობის მემონტაჟე
57. სახელი მანქანის ოპერატორი
58. საამწყობო-საბეჭდი მანქანის ამწყობი
59. ელექტრობის წარმოების ავტომატების გამმართველი
60. კოჭებისა და ელექტრომანქანების სექციების დამხვევი
61. ტრანსფორმატორების კოჭების დამხვევი
62. ავეჯის გადამკვრელი
63. ლითონბადეების ფუძის დამშუშევებელი
64. მოსაპირეეთებელი აპარატის ოპერატორი
65. ნახევარფაბრიკატების საწარმოო ავტომატების ოპერატორი
66. კვების პროდუქციის წარმოების სახაზი ოპერატორი
67. კონდენსატორების სექციების დამხვევი
68. სარეცხ-საწმენდი აგრეგატის ოპერატორი
69. ავალმყოფთა მოვლელი უმცროსი მედდა
70. მტკრისა და აირების დამწერი დანადგარების მომსახურების ოპერატორი
71. მართვის პულტის ოპერატორი
72. დამფასოებელ-შემფუთავი ავტომატის ოპერატორი
73. კავშირის ოპერატორი (III კლასი)
74. პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორი
75. გარღაქმნილი ქვესადგურის მართვის ფარის (პულტის) ოპერატორი
76. სიბრტყით ბეჭდვით მბეჭდავი
77. გასაქირავებელი ინსტრუმენტის მომზადებელი
78. მაღალი ბეჭდვის მსინჯავი
79. მრთველი
80. გემის რადიომემონტაჟე
81. გემის კურსის მომნიშვნელი



82. რადიოელექტრონული აპარატურისა და ხელსაწყოების მუშაობითი რეგულირებელი
83. სიფრითასა (შპონის) და მოსაპირკეთებელი მასალების ამო-მჭრელი
84. რადიოდეტალების ამწყობი
85. ტრანსფორმატორების გრაგნილების ამწყობი
86. ნახევარგამტარული ხელსაწყოების ამწყობი
87. ტრანსფორმატორების გულარების ამწყობი
88. საათების ამწყობი
89. ელექტროგამზომი ხელსაწყოების ამწყობი
90. კონტრაქტური (პრესული) შეღულების ოსტატი
91. მბურღავი
92. ვეხტილაციური სისტემის, ჰერის კონდიცირების, პნევმო-ტრანსპორტისა და ასპირაციის დეტალებისა და კვანძების დამამზადე-ბელი ზეინკალი
93. ზეინკალ-ინსტრუქტორი
94. რადიოელექტრონული აპარატურის ზეინკალ-მექანიკოსი
95. რკინიგზის ტრანსპორტის ბლოკირებისა და ცენტრალიზაციის მოწყობილობის მემონტაჟე
96. მეორადი წრეების ელექტრომემონტაჟე
97. ავტოზეინკალი
98. საგზაო-სამშენებლო მანქანებისა და ტრაქტორების რემონ-ტის ზეინკალი
99. მოძრავი შემადგენლობის რემონტის ზეინკალი
100. საგზაო მანქანებისა და მექანიზმების რემონტის ზეინკალი
101. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების ზეინკალი
102. ზეინკალ-შემკეთებელი
103. შიდა სანიტარიულ-მექანიკური სისტემების და მოწყობი-ლობების მემონტაჟე
104. ძრავების ზეინკალ-ამწყობი
105. საფრენი აპარატების ზეინკალ-ამწყობი
106. ელექტრომოწყობილობის ელექტროზეინკალი
107. დურგალი
108. ხომალდის დურგალი
109. მრანდავი
110. ბეჭდვითი წარმოებისა და საფოსტო გზავნილებების დამხა-რისხებელი
111. ნაწინურსაშალაშინებელი დაზგის ოსტატი
112. ხისღამმუშავებელი დაზგის ოსტატი
113. ტელეგრაფისტი



114. ადგილობრივი (საქალაქო, სასოფლო და საწარმოო) სატელევიზია  
ფონო კავშირის ტელეგრაფისტი
115. საცნობარო სამსახურის ტელეფონისტი
- 116 საქალაქთაშორის კავშირის ტელეფონისტი
117. ქულინარი
118. მეტალური და სინთეტიკური ბალების მქონელი
119. ტრაქტორისტი
120. ცომის მფორმირებელი
121. მერავი
122. მხერხავი
123. რკინიგზის ტრანსპორტზე და მეტროპოლიტენის სიგნალიზა-  
ციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომეონტაუე
124. გემის ელექტრომეონტაუე
125. ელექტრული მოწყობილობის ელექტრომონტიორი
126. სარელეო დაცვის და ავტომატური აპარატურის რემონტის  
ელექტრომონტიორი
127. კავშირგაბმულობის ელექტრომონტიორი
128. სატელეფონო კავშირის სტაციონალური მოწყობილობის  
ელექტრომონტიორი
129. სატელეფონო კავშირის სტაციონალური მოწყობილობის  
ელექტრომონტიორი
130. გამანაწილებელი მოწყობილობის რემონტის ელექტრო-  
ზეინჯალი
131. ელექტროდანადგარების რემონტის ელექტროზეინჯალი
132. შეცხოველების კომპლექსების და ფერმების ოპერატორი
133. მეფრინველების და შექანიზებული ფერმების ოპერატორი
134. მეღორეობის კომპლექსებისა და მექანიზებული ფერმების  
ოპერატორი
135. საკვებდამზადებელი საამჭროების ოპერატორი
136. ცხოველების ვეტერინალური დამუშავების ოპერატორი

დანართი 3

1986—1990 წლებში გამომცდმლობა „პროსვეშჩენიეს“ მიერ  
მოსწავლეთა პროფესიული სწავლებისათვის დამხმარე  
სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა

1986 წელი

1. ვ. ა. პოლიაკოვი — ელექტროტექნიკა მე-2 შევნებული გამო-  
ცემა<sup>1</sup>

<sup>1</sup> 1-9 დამხმარე სახელმძღვანელოები განკუთვნილია VII-X კლასებისათვის  
(კლასების მოქმედი ნუმერაციის მიხედვით)



2. 3. ს. ლერნერი, 3. გ. ლუკიანოვი — სახარატო და საღარმაზე განვითარებული საქმე

3. დ. ვ. მელნიკოვა და სხვ. — ქსოვილის დამუშავება

4. ვ. ვ. ლივენცევი და სხვ. — სატყეო მეურნეობის საფუძვლები

1987 წელი

5. ი. ნ. ბელუხოვი — მეცნიერებლეობისა და კომპლექსების მექანიზაცია და ავტომატიზაცია

6. ა. ე. სტავროვსკი — მეცნიერებლეობის საფუძვლები

7. ა. ვ. ალექსანდროვსკი — სამშენებლო საქმე

8. ა. ვ. კორნეევა და სხვ. — მანქანაზე წერა და საჭმისწარმოების საფუძვლები

9. ა. პ. აგაფონოვი — ავტომობილი

10. პ. რ. ატუტოვი, ვ. ა. პოლიაკოვი — წარმოების საფუძვლები.

პროფესიის არჩევა<sup>2</sup>

1988 წელი

11. ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა

12. სამკერვალო წარმოება

13. მეცნიერებლეობა და მეცნიერებლეობის ფერმების მექანიზაცია

14. ხის დამუშავება

1989 წელი

15. ლითონის დამუშავება

16. ტექსტილური წარმოება

17. სამშენებლო-სამონტაჟო წარმოება

18. რაღიოელექტრონიკა

19. სამანქანაომშენებლო ხაზეა

1990 წელი

20. მეცნიერებლეობის აგროტექნიკა და მექანიზაცია

21. ავტოსაქმე

22. საზოგადოებრივი კვება

23. ელექტროტექნიკა

24. მეცნიერებლეობის საფუძვლები

26. სავაჭრო მომსახურება

<sup>2</sup> 10-26 დამხმარე სახელმძღვანელოები განკუთვნილია VIII-X კლასებისათვის  
(კლასების ახალი ნუმერაციით)

სსრ კავშირის განათლების სამინიტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო აღჭურვილობისა და სასწავლო-თვალსაჩინო მასალის ნუსხათა ს ი ა

1. მანქანაზე ბეჭდვისა და თანამედროვე საქმისწარმოებისათვის განკუთვნილი სასკოლო კაბინეტების აღჭურვილობის ნუსხა:

(დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 19 მარტის № 18 ბრძანებით)

2. ავტოსაქმისათვის განკუთვნილი კაბინეტების სასწავლო აღჭურვილობისა და სასწავლო-თვალსაჩინო მასალის ნუსხა იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომლებშიც უფროსი კლასების მოსწავლეთა შესაბამისი სწავლება მიმდინარეობს.

(დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 16 ივნისის № 101 ბრძანებით).

3. სოფლის სამუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახოფლო-სამეურნეო მანქანების შესწავლისათვის განკუთვნილი კაბინეტების სასწავლო აღჭურვილობისა და სასწავლო-თვალსაჩინო მასალის ნუსხა.

(დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 9 ივნისის № 86 ბრძანებით).

4. მესაქონლეობის, მესაქონლეობის ფერმების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საფუძვლების სასწავლო აღჭურვილობისა და ხელსაწყობის ნუსხა.

(დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1979 წლის 14 აგვისტოს № 157 ბრძანებით).

5. ელექტროტექნიკისათვის საჭირო სასწავლო აღჭურვილობის ნუსხა:

(დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1979 წლის 14 აგვისტოს № 158 ბრძანებით).

6. სასწავლო-თვალსაჩინო მასელისა და სასწავლო აღჭურვილობის ტიპური ჩამონათვლები. საშუალო სკოლა. ნაწილი: „წირმოების საფუძვლები. პროფესიის არჩევა“.

დამტკიცებულია 1986 წელს

მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და მჯარმოებულის  
შრომის გაუმჯობესების ნაწილში ზოგადსაგანმანათ-  
ლო სტოლის რეფორმის თაობაზე კანონმდებლობის  
დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ

6 ოქტომბერი 1987 წელი, № ჩ-0213 26-10

საქართველოს სსრ პროკურატურა და განათლების სამინისტრო  
აღნიშვნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა აღგილებზე გარ-  
კვეული მუშაობა ჩაატარეს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯო-  
ბესებისა და მათი მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ნაწილში  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის შესახებ კანონ-  
მდებლობის დაცვისათვის, აგრეთვე „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის,  
სწავლების, პროფესიული ორგენტაციისა და საზოგადოებრივად სასარ-  
ებლო, ძარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შე-  
სახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების მოთხოვნათა  
შესაბამისად. განმტკიცდა უფროსკლასელთა შრომითი აღზრდის სას-  
წავლო-მატერიალური ბაზა.

რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 27 სასკოლათაშორისო სასწავ-  
ლო-საწარმოო კომბინატი. საწარმოში, სასწავლო-საწარმოო კომბინა-  
ტის ბაზაზე შეიქმნა 9540 სასწავლო სამუშაო აღგილი, რაც 1984  
წელთან შედარებით ორჯერ მეტია. უფროსკლასელებმა, რომლებმაც  
